

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2016 წლის 27 აპრილი

ქ. საჩხერე

„საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 ნოემბრის №40 დადგენილებაში (სსმ, 30/11/2015; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.130.016168) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. I-ლი თავის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12,836.0	14,402.9	6,339.7	8,063.2	11,567.5	3,977.5	7,590.0
გადასახადები	544.4	329.3	0.0	329.3	1,000.0	0.0	1,000.0
გრანტები	10,837.2	12,794.1	6,339.7	6,454.4	9,936.9	3,977.5	5,959.4
სხვა შემოსავლები	1,454.4	1,279.5	0.0	1,279.5	630.6	0.0	630.6
ხარჯები	6,837.5	7,767.2	773.9	6,993.3	7,944.6	348.5	7,596.1
შრომის ანაზღაურება	2,113.6	1,568.6	88.0	1,480.6	2,133.9	87.5	2,046.4
საქონელი და მომსახურება	1,320.1	1,451.7	434.5	1,017.2	1,452.7	32.5	1,420.2
სუბსიდიები	2,923.8	3,017.4	100.5	2,916.9	3,386.3	99.3	3,287.0
გრანტები	0.0	366.1	0.0	366.1	0.0	0.0	0.0



სოციალური უზრუნველყოფა	480.0	492.4	1.5	490.9	779.8	89.2	690.6
სხვა ხარჯები	0.0	871.0	149.4	721.6	191.9	40.0	151.9
საოპერაციო სალდო	5,998.5	6,635.7	5,565.8	1,069.9	3,622.9	3,629.0	-6.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,931.9	8,372.5	6,011.2	2,361.3	5,397.8	4,539.2	858.6
ზრდა	3,982.8	8,394.9	6,011.2	2,383.7	5,417.8	4,539.2	878.6
კლება	50.9	22.4	0.0	22.4	20.0	0.0	20.0
მთლიანი სალდო	2,066.6	-1,736.8	-445.4	-1,291.4	-1,774.9	-910.2	-864.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	2,066.6	-1,737.3	-445.4	-1,291.9	-1,868.5	-958.2	-910.3
ზრდა	2,066.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	2,066.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	1,737.3	445.4	1,291.9	1,868.5	958.2	910.3
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1,737.3	445.4	1,291.9	1,868.5	958.2	910.3
ვალდებულებების ცვლილება	0.0	-0.5	0.0	-0.5	-93.6	-48.0	-45.6
კლება	0.0	0.5	0.0	0.5	93.6	48.0	45.6
საშინაო	0.0	0.5	0.0	0.5	93.6	48.0	45.6
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2. I თავის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის	2015 წლის ფაქტი		2016 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	



	ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10395.8	14425.3	6339.7	8085.6	11587.5	3977.5	7610.0
შემოსავლები	10353.6	14402.9	6339.7	8063.2	11567.5	3977.5	7590.0
არაფინანსიური აქტივების კლება	42.2	22.4	0.0	22.4	20.0	0.0	20.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	9457.5	16162.6	6785.1	9377.5	13456.0	4935.7	8520.3
ხარჯები	6461.7	7767.2	773.9	6993.3	7944.6	348.5	7596.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	2995.8	8394.9	6011.2	2383.7	5417.8	4539.2	878.6
ვალდებულებების კლება	0.0	0.5	0.0	0.5	93.6	48.0	45.6
ნაშთის ცვლილება	938.3	-1737.3	-445.4	-1291.9	-1868.5	-958.2	-910.3

“

3. II თავის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 11567,5 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10353.6	14402.9	6339.7	8063.2	11567.5	3977.5	7590.0
გადასახადები	471.5	329.3	0.0	329.3	1000.0	0.0	1000.0
გრანტები	9326.7	12794.1	6339.7	6454.4	9936.9	3977.5	5959.4
სხვა შემოსავლები	555.4	1279.5	0.0	1279.5	630.6	0.0	630.6



4. II თავის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 4. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახადები 1000.0 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
გადასახადები	544.4	329.3	1000.0
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	550.0
გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავალი	0.0	0.0	550.0
ქონების გადასახადი	544.4	329.3	450.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	267.9	139.1	275.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113.3	106.7	85.0
ეკონომიკურ საქმიანობაზე გამოყენებულ ქონებაზე	14.7	5.1	40.0
არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	98.6	101.6	45.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	10.8	10.0	25.0
ფიზიკური პირებიდან	10.0	8.9	20.0
იურიდიული პირებიდან	0.8	1.1	5.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	152.4	68.4	65.0
ფიზიკური პირებიდან	17.7	15.9	15.0
იურიდიული პირებიდან	134.7	52.5	50.0
სხვა არაკლასიფიცირებული ქონების გადასახადი	0.0	5.1	0.0



5. II თავის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 5. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გრანტები 9936.9 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
გრანტები	10837.2	12794.1	9936.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10837.2	12794.1	9936.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	6454.4	6454.4	5959.4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	190.0	190.0	190.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4192.8	6149.7	3787.5
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	85.4	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	87.2	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	1893.7	4176.4	2869.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები	920.0	968.5	918.5
საქართველოს მთავრობის განკარგულებით სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი სახსრები	970.0	917.6	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულებით გაზომვარაგების სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრები	323.7	0.0	0.0

6. II თავის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 6. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 630.6 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1454.4	1279.5	630.6
შემოსავლები საკუთრებიდან	1173.8	894.8	460.0
პროცენტები	261.9	429.3	160.0
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	261.9	429.3	160.0



დივიდენდები	0.0	0.0	0.0
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული დივიდენდებიდან	0.0	0.0	0.0
რენტა	911.9	465.5	300.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	911.9	465.4	299.0
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	609.8	167.9	200.0
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	101.4	115.7	55.0
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	0.5	0.0	1.0
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	3.9	4.3	2.0
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	196.3	177.5	41.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.0	0.1	1.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	63.5	67.3	60.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	62.6	62.8	59.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0.0	0.1
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.5
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებიდან	0.0	0.0	0.0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	53.0	53.1	50.0
სანებართვო მოსაკრებელი	9.5	9.7	8.4
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის	9.5	9.7	8.4
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.9	4.5	1.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.9	4.5	1.0
შემოსავლები შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.9	4.5	1.0



სანქციები (ჯარიმები და საურავები)	197.4	245.0	106.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	197.4	244.3	104.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში	17.7	19.4	10.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის წესის ხელმოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	0.0	15.9	0.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	32.5	56.6	15.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	136.6	148.5	70.0
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	79.3	80.2	60.0
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	57.3	68.3	10.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში	0.0	0.3	0.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	1.5	3.4	2.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	8.9	0.0	6.0
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებულ სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	0.2	0.2	1.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო	0.0	0.0	1.0
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	0.0	0.7	1.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	19.7	72.4	4.6
შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	0.0	35.7	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	19.7	36.7	4.6

7. III თავის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„მუხლი 7. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯები 7944.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6,837.5	7,767.2	773.9	6,993.3	7,944.6	348.5	7,596.1
შრომის ანაზღაურება	2,113.6	1,568.6	88.0	1,480.6	2,133.9	87.5	2,046.4
საქონელი და მომსახურება	1,320.1	1,451.7	434.5	1,017.2	1,452.7	32.5	1,420.2
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	97.1	87.9	0.0	87.9	98.3	0.0	98.3
მივლინება	9.4	15.9	0.0	15.9	38.0	0.0	38.0
ოფისის ხარჯები	218.6	280.0	57.4	222.6	281.2	0.0	281.2
წარმომადგენლობითი ხარჯები	16.3	28.0	0.0	28.0	30.0	0.0	30.0
კვების ხარჯები	23.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	10.1	3.0	0.0	3.0	1.9	0.0	1.9
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	94.2	71.3	0.0	71.3	129.4	0.0	129.4
სხვა დანარჩენი საქონელი და	850.6	965.6	377.1	588.5	873.9	32.5	841.4



მომსახურება							
სუბსიდიები	2,923.8	3,017.4	100.5	2,916.9	3,386.3	99.3	3,287.0
გრანტები	0.0	366.1	0.0	366.1	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	480.0	492.4	1.5	490.9	779.8	89.2	690.6
სხვა ხარჯები	0.0	871.0	149.4	721.6	191.9	40.0	151.9

“

8. III თავის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5397.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5417.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	53.5	220.1	0.0	220.1	178.0	0.0	178.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	1.6	0.0	1.6	3.2	0.0	3.2
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3190.2	7249.1	5440	1809.1	4104.2	3552.4	551.8
04 00	განათლება	622.8	604.7	317.2	287.5	293.9	209	84.9
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	116.3	319.4	254.0	65.4	835.3	776.6	58.7



06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0	3.2	1.2	2.0
	ჯამი	3982.8	8394.9	6,011.2	2,383.7	5417.8	4,539.2	878.6

ბ) განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 20.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	50.9	22.4	20.0
311	ძირითადი აქტივები	31.7	4.6	10.0
3111	შენობა ნაგებობები	31.7	4.6	5.0
31112	არასაცხოვრებელი შენობები	31.7	4.6	5.0
3113	სხვა ძირითადი აქტივები	0.0	0.0	5.0
311322	სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	0.0	0.0	5.0
312	შემოსულობა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან	0.0	5.0	0.0
3122	სხვა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან	0.0	5.0	0.0
314	არაწარმოებული აქტივები	19.2	12.8	10.0
3141	მიწა	19.2	12.8	10.0

9. III თავის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

ფუნქცი- ონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,154.8	2,165.8	0.0	2,165.8	2,945.9	0.0	2,945.9
7011	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,154.8	2,165.8	0.0	2,165.8	2,940.9	0.0	2,940.9
70111	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,154.8	2,165.8	0.0	2,165.8	2,877.4	0.0	2,877.4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	63.5	0.0	63.5
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
702	თავდაცვა	140.5	127.2	88.0	39.2	172.8	87.5	85.3
7021	შეიარაღებული ძალები	140.5	127.2	88.0	39.2	172.8	87.5	85.3
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	310.6	341.7	0.0	341.7	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	310.6	341.7	0.0	341.7	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,037.5	5,909.6	4,538.4	1,371.2	2,904.8	2,608.6	296.2
7045	ტრანპორტი	1,088.9	4,730.7	3,606.4	1,124.3	1,949.8	1,653.6	296.2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,088.9	4,730.7	3,606.4	1,124.3	1,949.8	1,653.6	296.2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	948.6	1,178.9	932.0	246.9	955.0	955.0	0.0
705	გარემოს დაცვა	880.4	735.9	130.8	605.1	566.7	0.0	566.7
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	377.1	506.1	0.0	506.1	411.1	0.0	411.1
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	82.5	63.9	26.7	37.2	53.2	0.0	53.2
	გარემოს დაბინძურების							



7053	წინააღმდეგ ბრძოლა	381.7	104.1	104.1	0.0	5.4	0.0	5.4
7054	ბიომრავალფეროვნებისა დალანშაფტების დაცვა	39.1	61.8	0.0	61.8	97.0	0.0	97.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,292.6	2,301.0	1,354.7	946.3	1,387.2	1,016.3	370.9
7061	ბინათმშენებლობა	97.1	627.0	186.6	440.4	40.0	40.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	445.3	320.3	301.1	19.2	83.1	0.0	83.1
7063	წყალმომარაგება	582.1	1,143.4	867.0	276.4	1,092.8	976.3	116.5
7064	გარე განათება	137.6	149.0	0.0	149.0	161.5	0.0	161.5
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	30.5	61.3	0.0	61.3	9.8	0.0	9.8
707	ჯანმრთელობის დაცვა	159.6	102.5	100.5	2.0	139.9	100.5	39.4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	159.6	102.5	100.5	2.0	102.5	100.5	2.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	37.4	0.0	37.4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,516.2	1,869.2	254.0	1,615.2	2,315.5	776.6	1,538.9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	556.6	645.7	0.0	645.7	751.5	152.0	599.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	917.6	1,141.3	254.0	887.3	1,494.0	624.6	869.4
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	12.2	13.4	0.0	13.4	30.0	0.0	30.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	29.8	68.8	0.0	68.8	40.0	0.0	40.0
709	განათლება	1,803.8	2,029.2	317.2	1,712.0	2,070.5	209.0	1,861.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,594.6	1,758.4	317.2	1,441.2	1,899.0	209.0	1,690.0
	განათლების სფეროში							



7096	დამხმარე მომსახურება	59.0	109.5	0.0	109.5	7.9	0.0	7.9
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	150.2	161.3	0.0	161.3	163.6	0.0	163.6
710	სოციალური დაცვა	524.3	580.0	1.5	578.5	859.1	89.2	769.9
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	221.3	340.5	0.0	340.5	379.0	0.0	379.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	184.3	255.9	0.0	255.9	300.0	0.0	300.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	37.0	84.6	0.0	84.6	79.0	0.0	79.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	8.1	17.6	0.0	17.6	20.0	0.0	20.0
7103	მარჩენადაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	24.3	20.1	0.0	20.1	20.0	0.0	20.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	186.3	115.7	0.0	115.7	237.2	87.2	150.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	5.4	8.9	0.0	8.9	10.0	0.0	10.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	58.7	45.2	0.0	45.2	68.5	0.0	68.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	20.2	32.0	1.5	30.5	124.4	2.0	122.4
	სულ	10,820.3	16162.1	6,785.1	9,377.0	13,362.4	4,887.7	8,474.7

10. IV თავის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო – 1868.5 ათასი ლარის ოდენობით.“.

11. IV თავის მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 1868.5 ათასი ლარის ოდენობით.



2. განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
ვალუტა და დეპოზიტები	2066.6	0.0	0.0

3. განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება - 1868.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ფინანსური აქტივების კლება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1737.3	1868.5

“

12. IV თავის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 12. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა 63.5 ათასი ლარის ოდენობით.

13. V თავის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 13. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე დონე) შემდეგი რედაქციით:

1.თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის საჩხერის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, რაც დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა კანონმდებლობების მიხედვით თვითმმართველი ერთეულისათვის წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებას და ამ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მთლიანად მოხმარდება მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის მიერ წვევანდელთა სამხედრო აღრიცხვის ღონისძიებების; წვევამდელთა გაწვევის ორგანიზების, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის; შესაბამის გამწვევ პუნქტებამდე ტრანსპორტირების; რეზერვის აღრიცხვის; გაწვევის ორგანიზებისა და სხვა კანონმდებლობებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებას.

პროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება სამხედრო ვალდებულობის სრული აღრიცხვა, შეიარაღებულ ძალებში სამსახურის პოპულარიზაცია და ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)



მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება დასუფთავების ღონისძიებები, სკვერების, მოედნების კეთილმოწყობის ღონისძიებები, წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, რაც თავის თავში გულისხმობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას (გზები და ხიდები). კერძოდ, ქუჩების ორმულ შეკეთებას, ქუჩების მოხრეშვა-დაგრეიდერებას, საგზაო ნიშნების მოწყობას, დაზიანებული ლიფტების მოვლა-პატრონობას, გარე განათების რეაბილიტაციას (ქუჩები და ხიდები), გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-პატრონობას, განათების ქსელის ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას, დასუფთავების ღონისძიებებს, ნაგავშემკრები ყუთების შეძენას, უმეტესაწესრიგოდ დარჩენილი ცხოველების იზოლირებას, სანიაღვრე არხების შლამისა და ნატანისაგან გაწმენდას, მათ აღდგენასა და მოვლა-პატრონობას, საკანალიზაციო სისტემების მოწყობას, მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობას, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვას, გამწვანების სამუშაოებს და სხვა.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ასფალტის საფარის ორმულების შეკეთება, ასევე დაზიანებულ გზებზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობა, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. ასევე დაგეგმილია საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების მოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საყრდენი კედლების შეკეთება და გზის საფარის თოვლისგან გაწმენდა საჭიროების შემთხვევაში.

2.1.1 საყრდენი კედლის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

საჩხერის მუნიციპალიტეტი მთაგორიანი მდებარეობის და მოსახლეთა ტერასული დასახლებიდან გამომდინარე საყრდენი კედლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საცხოვრებელი თუ ინფრასტრუქტურული ობიექტების შეკავებისათვის, სწორედ აქედან გამომდინარე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. საჩხერეში რუსთაველის ქუჩა №28 და ამავე ქუჩაზე ყოფილი კომისარიატის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საყრდენი კედლის მოწყობა, რითაც გამაგრდება მეწყერსაშიში უბნები და ამასთანავე გალამაზდება ქალაქის იერსახე.

2.1.2 თოვლისაგან გზის გაწმენდის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თოვლისაგან გზების გაწმენდა და მოყინულ გზებზე მარილის მოყრა, ამით დაცული იქნება მოქალაქეების უსაფრთხო გადაადგილება.

2.1.3 ხიდების ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია(03 01 04)

ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2.1.4 ქალაქ საჩხერეში ქუჩების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 06)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჩხერეში ნოზაძის ქუჩის რეაბილიტაცია, რითაც გაუმჯობესდება ქალაქში გადაადგილება.

2.1.5 მისასვლელი და საუბნო გზების კეთილმოწყობა(პროგრამული კოდი 03 01 08)

ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფელ ბაჯითის, სოფელ მოძვი-ჯალაღურთის, ჭალა-პერევის, სოფელ სავანის გზაზე ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა, ასევე დაგეგმილია რკინა-ბეტონის გზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.



2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების, კოლექტორებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლოატაცია, გარე განათების ქსელის მოვლა-ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქ. საჩხერისა და მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებული პუნქტების დასუფთავება და ნაგვის გატანა.

2.2.1 მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 02 01)

ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2.2.2 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერის ქუჩების, სკვერების, მოედნების და სხვათა ყოველდღიური დასუფთავება. ქ. საჩხერიდან და მუნიციპალიტეტის რიგი სოფლებიდან და ცენტრალური საავტომობილო გზის პირებიდან ნაგვის გატანა, ნაგავსაყრელამდე მიტანა და სხვა. ამ ღონისძიებების განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება სუფთა გარემო და კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობა.

2.2.3 საკანალიზაციო სისტემების, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერეში არსებული ჩამდინარე წყლების სისტემების, სანიაღვრე კოლექტორებისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე მოწყობა საკანალიზაციო სისტემა ქ. საჩხერეში გომართელის ქუჩის ჩიხში სოფელ დუნთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობისათვის. ამ ღონისძიებების განხორციელებით თავიდან იქნება აცილებული საკანალიზაციო სისტემებიდან ნახმარი წყლის გაჟონვა და მდინარეში ჩაედინება გაწმენდილი საკანალიზაციო მასა, გარანტირებული გახდება გარემოს დაცვა.

2.2.4 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ჭალოვანისა და ცხომარეთის

ადმინისტრაციულ ერთეულებში საცხოვრებელი სახლების გაუმჯობესების ქსელის პროექტირება.

2.2.5 გარე განათება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. საჩხერეში, გომი-საჩხერის საავტომობილო გზის მონაკვეთზე, სოფლებში სხვითორში, ჭორვილაში და პერევეში არსებული გარე განათების ქსელის ტექნიკური მოვლისა და მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. საჩხერის გამწვანება და სკვერების მოწყობა.

2.3.1 ქ. საჩხერის გამწვანების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერის ქუჩებში, სკვერებში და მოედნებზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობა, მათი გასხვლა-გადაბეღვა, სკვერებში და გაზონებში ერთწლიანი ნარგავების, ყვავილების და სხვათა დარგვა და მოვლა-პატრონობა.

2.3.3. სკვერების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 03)



ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია საავტომობილო და საცალფეხო ხიდებს შორის სკვერის მოწყობა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამასთან ამ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ხელშეწყობა და სკოლისგარეშე დაწესებულებების დაფინანსება.

3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

საჩხერის მუნიციპალიტეტში დღეისათვის იფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, აქედან 4 ქალაქში და 16 სხვადასხვა სოფელში. რომელთაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი. საბავშვო ბაღებში ირიცხება 1250 აღსაზრდელი, რომელთა აღზრდას ემსახურება 290 თანამშრომელი. ბიუჯეტიდან ერთი აღსაზრდელის აღზრდის დაფინანსებაზე უნდა დაიხარჯოს 1297,60 ლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს შრომის ანაზღაურების, კვების, ინვენტარის შეძენის და სხვა ხარჯების დაფინანსებას.

3.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები.

3.3 ა(ა) იპ – საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

მოსწავლე-ახალგაზრდობის სწორი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების მიზანმიმართული საქმიანობა. სწორედ ამიტომ ამ პროგრამის ფარგლებში ამ საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებისათვის განსაზღვრულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხარჯების დაფინანსება.

3.4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია და აღჭურვა(პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ ცხამის საბავშვო ბაღის მშენებლობა

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების ხელშეწყობა. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურული, სპორტული და რელიგიური ორგანიზაციების და ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული და იმედისმომცემი სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლისა და საცურაო აუზის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. ამასთან, ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობა და გაგრძელება იმედისმომცემ სპორტსმენებზე სტიპენდიების გაცემა.

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)



ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მასშტაბის სპორტული ღონისძიებების მოწყობა. კერძოდ, ფეხბურთში, ჭადრაკში, ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ჭიდაობაში და სხვა. ამასთან იმედისმომცემ სპორტსმენზე წლის განმავლობაში გაიცემა სხვადასხვა სახის ჯილდოები.

4.1.2 ა(ა)იპ – საჩხერის სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლისა და ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზის დაფინანსება. ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლა მთლიანად ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. აქ არსებულ 42 სპორტულ წრეში ჯანმრთელობას იკაჟებს 605 ბავშვი.

4.1.3 საჩხერის საცურაო აუზი(პროგრამული კოდი 05 01 03)

ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზი საკუთარ შემოსავლებთან ერთად დაფინანსებას ღებულობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდანაც. აქ სპორტული მკურნალობის კურსს გადის სკოლიოზითა და სხვადასხვა ტრამვეზით დაავადებული ბავშვები.

4.1.4 სპორტული ობიექტების დაფინანსება(პროგრამული კოდი 05 01 04)

ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.საჩხერეში მაჭავარიანის ქუჩაზე ძალოსნობის დარბაზის მშენებლობა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება და მოეწყობა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ის ფორმით დაფუძნებული სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების და მუზეუმების, სულ 8 ერთეული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება. შრომის ანაზღაურებასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასაც.

4.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია დაფინანსდეს გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო, საშობაო-საახალწლო, თეატრალურ-მუსიკალური ღონისძიებები, ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ტრადიციული დღესასწაული საჩხერლობა.

4.3 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები და მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობის ნორჩ შემოქმედთა ბანაკის მომსახურებებისა და მგზავრობის ხარჯები და სხვა.

4.4 ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის ფინანსური დახმარება.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული რესურსების ფარგლებში გაგრძელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფა. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება,



რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერების ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციების გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშამვების, აგრეთვე პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

5.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებებს, ავადმყოფთა დახმარებას, სხვადასხვა ორგანიზების და ღონისძიებების სუბსიდირებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ავადმყოფთა სოციალური დაცვა. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება შემდეგი სახის ავადმყოფებზე და შემდეგი ოდენობით.

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბენეფიციარს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 70000-მდე, ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და არ უნაზღაურდება მკურნალობის თანხა, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
2. ბენეფიციართა იმ კატეგორიას, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლის წარმომადგენლის წერილობითი დასაბუთებით ოჯახი განიცდის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, სამედიცინო დაწესებულებაში მომსახურების წილობრივი თანხა ჩაერიცხება, სამკურნალო დაწესებულების ანგარიშზე, არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;
3. ბენეფიციარს, რომელსაც ესაჭიროება: გეგმიურ და გადაუდებელი სტაციონალური-ქირურგიული ოპერაცია, ლაბორატორიული, ინსტრუმენტული, პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია (PET/CT), კორონოგრაფია, გასტროფიბროსკოპია და ფიბროსკოპია, სანატორიულ-კურორტული მკურნალობა, თვალის რეფრაქციული ქირურგია, სილიმის ქირურგიული მკურნალობა,



თვალის ლაზერული ქირურგია და სხვა სამედიცინო მომსახურება, სახელმწიფო ან სხვა სამედიცინო სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება განესაზღვროს არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

4. ონკოლოგიური ავადმყოფის სამედიცინო კვლევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით, კვლევის თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვროს ბენეფიციარის მხრიდან წარმოდგენილი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა;

5. ონკოლოგიური ავადმყოფის სამედიცინო სტაციონალური მომსახურება რომელიც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით, თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვროს, ბენეფიციარის მხრიდან წარმოდგენილი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა;

6. ქრონიკული დაავადებების მქონე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფის კუთხით დასაფინანსებელ ბენეფიციართა კონტინგენცია:

ა) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეპილეფსიით დაავადებული პაციენტები ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარამდე.

ბ) ონკოლოგიური დაავადებით დაავადებული პაციენტები, ქიმიური თერაპიის შემდგომ 300 (სამასი) ლარამდე ერთჯერადად.

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ თირკმლის ტრანსპლანტაციის მქონე ბენეფიციარებზე ყოველთვიურად 150 (ასრმოცდაათი) ლარამდე.

7. მუნიციპალიტეტში მცხოვრები თირკმლის უკმარისობით დაავადებულ მოქალაქეებს, რომლებიც დიალეზის მკურნალობის კურსს გადიან სხვადასხვა ქალაქებში მიეცემათ 120 (ასოცი) ლარი ყოველთვიურად, გათვალისწინებული ხარჯების დაფარვისათვის.

8. ონკოჰემატოლოგიური დაავადების (ლეიკემია) მქონე მოქალაქეებს, რომლებიც საჭიროებენ თერაპიულ მკურნალობას, დაენიშნოთ ყოველთვიური დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

5.2.2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური უზრუნველყოფა, ყრუთა კავშირისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირის სუბსიდირება.

5.2.2.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02 01).

